შ.პ.ს. „სითი ინვესტი“

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი №65ა საცხოვრებელი სახლის II სართულის დაზიანებული ნაწილის რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2013წ

შ.პ.ს. „სითი ინვესტი“

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი №65ა საცხოვრებელი სახლის II სართულის დაზიანებული ნაწილის რეკონსტრუქცია

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შეადგინა  დ.ბუჩუკური

თბილისი
2013წ

სარჩევი

1	სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება	4
2	მშენებლობის კალენდარული გეგმა	6
3	მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები	7
4	რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები	8
5	მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	9
6	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები	9

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ)

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი №65ა
საცხოვრებელი სახლის II სართულის დაზიანებული ნაწილის რეკონსტრუქცია

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. აღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლი არსებული სახლი ორსართულიანია, რომლის მზიდი კედლები აგურისაა, სისქით – I სართულზე 1.0 მ, ხოლო II სართულზე 70-80 სმ. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებით. შენობა ფასადით გამოდის აღმაშენებლის გამზირზე. პროექტით გათვალისწინებულია შენობის უკანა ფასადის დეფორმირებული, ნახევრად დანგრეული კედლის და გადახურვის მცირე ნაწილის რეკონსტრუქცია. ვიზუალური დაკვირვებით, II სართულის სარეკონსტრუქციო ნაწილის გარე შემომზღუდავი კედლები ამორტიზებული და ავარიულია, ამორტიზებულია "1", "2" და "4" ღერძებზე მდებარე ხის სვეტებიც, იატაკი დახრილია "4" ღერძის მიმართულებით, რაც გამოწვეულია არსებული საძირკვლის ჯდენით. რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია ახალი ლითონის სვეტების ქვეშ მონოლითური საძირკვლების მოწყობა, არსებული ამორტიზებული შემომზღუდავი კედლების, ხის სვეტებისა და გადახურვის დემონტაჟი და მათი შეცვლა ლითონის სვეტებით და ლითონის ნაგლინ კოჭებზე დაყრდნობილი ხის მსუბუქი გადახურვით, რომელიც თავის მხრივ იხურება თუნუქის სახურავით, არსებული სახურავის გაგრძელებით შენობის კიდემდე ("ა" ღერძი).

1.2. I ეტაპზე უნდა განხორციელდეს შენობის სარეკონსტრუქციო ნაწილის II სართულის დაზიანებული კედლების და გადახურვის დემონტაჟი. სასურველია დაშლის სამუშაოთა დაწყებამდე მოხდეს სართულშუა გადახურვის გამაგრება დროებითი საყრდენებით, რათა არ მოხდეს მისი ჩამოშლა. შემდეგ არსებული სართულშუა გადახურვის და ხის სვეტების ეტაპობრივი დემონტაჟი

უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით. ასევე, მოხდეს საპროექტო ტერიტორიის შემოსაზღვრა გამაფრთხილებელი ლენტით და გაკონტროლდეს რომ სამშენებლო სამუშაოებში დაუსაქმებელ ადამიანებს არ მიეცეთ სამშენებლო ტერიტორიასთან მიახლოების საშუალება. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა დაშლის სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით.

1.3. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით). დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ. ლითონის ელემენტების ჩაჭრისას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუ- ფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგალითად ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

1.4. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქი-ტექტორის მხრიდან.

2. სამშენებლო სამუშაოების ცალკეული ეტაპების გრაფიკი

№	მშენებლობის ეტაპები	ხანგ.	კალენდარული თვეები					
			1	2	3	4	5	6
1	მოსამზადებელი სამუშაოები	5 დღე						
2	ფასადის დაზიანებული კედლის და გადახურვის დემონტაჟი	20 დღე						
3	სამშენებლო ნაგვის გატანა	5 დღე						
4	მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოების დასრულება	3 თვე						
5	ფასადის მოწყობა-მოპირკეთებითი სამუშაოები	2 თვე						

3. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

3.1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

3.2. საძირკვლის ქვეშ ქვაბულის ამოღების სამუშაოები უნდა წარიმართოს თანახმად სნ და წ 3.02.01-83-ისა.

3.3. დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესების შესრულება აუცილებელია სნ და წ 111-15-76 მოთხოვნილებების დაცვით.

3.4. ფუძე საძირკვლების მოწყობისას ხელმძღვანელობენ სნ და წ 3.02.01-83 ნორმებით ფუძეები და საძირკვლები.

3.5. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-18-79 „ლითონის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ 111-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ 111-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები";
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ 3.04.03-85 „კოროზიისაგან დაცვა";
- სნ და წ 111-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ – ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ 111-30-79 „წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება;
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ 111-10-78 „ტერიტორიის კეთილმოწყობა";
- სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა";

- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ“;

- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება“.

4. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

4.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში

№	დასახელება	რაოდენობა, ცალი
1	2	4
1	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	2
2	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	1
3	სანგრევი ჩაქუჩები	1
4	ავტოგენური საჭრელი აპარატები	1
5	პერფორატორები	1
6	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	4
7	ელექტროშესადუღებელი აპარატი	1
8	ავტოგენური შედუღების აპარატი	1
9	ლითონის სახარაჩო სექციები	საჭიროების მიხედვით
10	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	2
11	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	3

4.2. მანქანა-დანადგარების და ინსტრუმენტ-მოწყობილობების ჩამონათვალი სარეკომენდაციოა და დაკორეგირდება სამუშაოთა წარმოების პერიოდში.

5. შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

5.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

5.2. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

5.3. სამუშაოთა შესრულებისას მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

5.4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

5.5. სამშენებლო სამუშაოთა განხორციელების პერიოდში ობიექტის სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.